განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო პროგრამა „მათემატიკა“

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 3 ივლისი, 2019 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 19 ივლისი, 2019 წ.

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მათემატიკა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მათემატიკის დოქტორი, კოდი 0541
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	48 (სასწავლო კომპონენტი)
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ დავითაშვილი, ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვაჟა ტარიელაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ბილანიშვილი, ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

  ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის სადოქტორო პროგრამა ახალია - სააკრედიტაციოდ მომზადდა 2018 წელს. პროგრამა ხორციელდება ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, ტექნოლოგიების სკოლის ბაზაზე. პროგრამა ამზადებს მკვლევარებს, რომლებიც შეძლებენ ალგებრის, გეომეტრიის, ტოპოლოგიის, დიფერენციალური განტოლებების, მათემატიკური ფიზიკისა და უწყვეტ გარემოთა მექანიკის მიმართულებებიდან ერთ-ერთის ფუნდამენტური ან ინტერდისციპლინური პრობლემების კვლევას დარგში არსებული თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად. სადოქტორო პროგრამა მიმართულებათაშორისია და დარგის აქტუალური პრობლემების კომპლექსური შესწავლისათვის იყენებს ინტერდისციპლინუ-რი კვლევის მეთოდებს.

  პროგრამა ეფუძნება მოწინავე საერთაშორისო გამოცდილებას მათემატიკის აქტუალური საკითხების კვლევის მიმართულებით. დოქტორანტი პროგრამაზე სწავლის პერიოდში ახდენს მიღებული სამეცნიერო შედეგების გამოქვეყნებას მაღალი რანგის საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში, რაც ხელს უწყობს კვლევის სტანდარტების ამაღლებას.

  პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხუთი აფილირებული აკადემიური პერსონალი - მეცნიერები, რომლებსაც გააჩნიათ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დიდი გამოცდილება და საერთაშორისო ავტორიტეტი.

  განსახილველი სადოქტორო პროგრამა 48 კრედიტიანია (იგულისხმება სასწავლო კომპონენტი). ფართოა იმ თემატიკის ჩამონათვალი, რომელშიც დოქტორანტს შეუძლია განახორციელოს კვლევები და შეარჩიოს სადოქტორო დისერტაციის თემა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  ექსპერტთა ვიზიტი აკრედიტაციის მაძიებელ დაწესებულებაში განხორციელდა 2019 წლის 3 ივლისს. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ პროფესორი ვაჟა ტარიელაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან და დოქტორანტი ანი ბილანიშვილი ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა თინათინ დავითაშვილი ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტში მონაწილეობდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი ლაშა მაჭარაშვილი.

  გასაუბრებების სესიები და სხვა აქტივობები მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, 9:00 სთ-დან 17:30 სთ-მდე, და მოიცავდა შეხვედრებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებელთან. მოეწყო გასაუბრება მომიჯნავე სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა აკრედიტაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს წარუდგინეს ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი მიგნებები.

  დაწესებულების წარმომადგენლები მომზადებულები შეხვდნენ ვიზიტს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ყველანაირი სამუშაო პირობები შეუქმნეს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  სადოქტორო პროგრამა შესაბამისობაშია ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  <u>რეკომენდაცია ეხება 2.5 სტანდარტს</u>.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ სადოქტორო სემინარები მოიცავს დოქტორანტის რეგულარულ შეხვედრებს სამეცნიერო ხელძღვანელთან /თანახელმძღვანელთან, რაც უზრუნველყოფს რეგულარული უკუკავშირის მიღებას პროსპექტუსის პროგრესთან დაკავშირებით.

სადოქტორო სემინარის (I და II) კონცეფციებში, შეფასების წესებში წერია, რომ „დოქტორანტმა შესაძლებელია სადოქტორო სემინარი გაიაროს online-რეჟიმში იმ შემთხვევაში, თუ თვითონ იმყოფება საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ან მისი ხელმძღვანელი იმყოფება საზღვარგარეთ სამუშაო ვიზიტის ან სტაჟირების ფარგლებში. ამ შემთხვევაში დოქტორანტი ვალდებულია განცხადებით გააფრთხილოს ფაკულტეტის ადმინისტრაცია, რომელსაც თან უნდა ახლდეს ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი სადოქტორო სემინარის გეგმა. გეგმაში დამატებითად უნდა იყოს მითითებული სემინარების განრიგი და დაკავშირების საშულება (skype ან სხვა). online-რეჟიმში სწავლების შემთხვევაში პროსპექტუსის შუალედური ანგარიშების ატვირთვა ხდება moodle-ის სისტემაში.“

ასეთი შემთხვევა შესაბამისად კი არის დაგეგმილი, მაგრამ ვთვლით, რომ ეს წარმოადგენს ელექტრონულ სწავლებას უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვით. მართლაც, კანონში გვ.2-ზე (https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830%23?publication=75, #688) ვკითხულობთ, რომ „ელექტრონული სწავლება არის **საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი** პირებისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე კვალიფიკაციის მისაღებად ორგანიზებული, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი **ან მისი ნაწილი,** რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილზე სტუდენტისა და მასწავლებლის ერთდროულად ყოფნას.“ ამავე, კანონში (გვ.44, მუხლი 47[4], პუნქტი 4) ნათქვამია, რომ „ელექტრონული სწავლების გამოყენება დასაშვებია **მხოლოდ** ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.“ ამრიგად, ელექტრონული სწავლება **დასაშვები არ არის უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე.**

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, 1 სემესტრიანი და 6 კრედიტიანი ორივე სადოქტორო სემინარის კონცეფციაში შეფასების წესები ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ არ დაირღვეს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის ზემოხსენებული პუნქტები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  პროგრამა ახალია

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  პროგრამა ახალია

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მათემატიკის სადოქტორო პროგრამის მიზნები ნათლად ასახავს, თუ რა კომპეტენციის კურსდამთავრებულების მოამზადებისაკენ არის პროგრამა მიმართული. კერძოდ, სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს ახალი თაობის მკვლევარების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ალგებრის, გეომეტრიის, ტოპოლოგიის, დიფერენციალური განტოლებების, მათემატიკური ფიზიკისა და უწყვეტ გარემოთა მექანიკის მიმართულებებიდან ერთ-ერთის ფუნდამენტური ან ინტერდისციპლინური პრობლემების ინოვაციურ კვლევას მათემატიკის უახლესი მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამა მიზანად ისახავს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, ისე კვლევითი ინსტიტუტებისთვის, და ხელს შეუწყობს დოქტორანტთა ინტეგრირებას საერთაშორისო კვლევით სივრცეში. პროგრამის მიზნები ეთანხმება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რაც გულისხმობს ცოდნის შექმნას, გადაცემას და გამოყენებას მეცნიერების წინსვლის და საზოგადოებრივი განვითარებისთვის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, ასევე შეესაბამება ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები განხორციელებადია მასში ჩართული აკადემიური პერსონალის მაღალი დონითა და კვლევისა და სწავლების დიდი საერთაშორისო გამოცდილებით; ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიდგომით ამ საკითხისადმი, რაც ასახულია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელმისაწვდომია წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე. მათემატიკური მოდელებით და მეთოდებით კვლევა ძალიან აქტუალურია მეცნიერების მრავალი დარგის თუ უახლესი ტექნოლოგიების განვითარებისათვის. პროგრამა ითვალისწინებს დარგის განვითარების მოთხოვნებს, რათა პროგრამის კურსდამთავრებულებზე იყოს მოთხოვნა შრომის ბაზარზე. პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ როგორც სამეცნიერო-კვლევით, ასევე სასწავლო თუ სხვა, სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებებში. პროგრამის მიზნების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იქნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით.

პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით • სადოქტორო პროგრამა; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის განაცხადი https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების • ფაკულტეტის სტრატეგია; • ISU ინტერნატიონალიზაციის სამოქმედო გეგმა 2018-2020; • ISU ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული გეგმა 2018-2024; • პროგრამის კომპონენტების გარე შეფასება; • პროგრამის სამუშაო ჯგუფის ოქმები; • ინტერვიუ პროგრამაში ჩართულ პირებთან.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მიხედვით, დაწესებულების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია „პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციების მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა“, რაც გათვალისწინებულია მათემატიკის პროგრამის სასწავლო შედეგების ჩამოყალიბებისას. პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში მონაწილეობას იღებდა პროგრამაში ჩართული ყველა აკადემიური პერსონალი. მათ კონსულტაციებს უწევდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ უნარებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც ემყარება პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტის მიერ შეძენილ ცოდნას. პროგრამის შედეგები შეესაბამება მიზნებს, არის რეალისტური, გაზომვადი და მიღწევადი, რაც ასახულია პროგრამის ცალკეულ კომპონენტების - დოქტორანტის სემინარების, სასწავლო კურსების და ა.შ. შეფასების სისტემებში. პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურადაა დაკავშირებული სასწავლო კურსებსა და კვლევით კომპონენტებთან და წარმოდგენილია კომპეტენციათა რუკაში. პროგრამის სწავლის შედეგები სრულიად შეესაბამება უმაღლესი განათლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს. სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება როგორც პირდაპირი (სტუდენტების აკადემიურ მოსწრების მონაცემების ანალიზი), ისე არაპირდაპირი (სტუდენტების გამოკითხვის შედეგები) შეფასების მეთოდები. სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების მრავალფეროვნება განპირობებულია სწავლების საფეხურითა და დარგის სპეციფიკით და ხორციელდება თანმიმდევრულად, პროგრამაში შემავალი კომპონენტების სწავლის შედეგების შეფასებითა და შედეგების შემდგომი ანალიზით. გამოკითხვები ხორციელდება ელექტრონული სისტემა „არგუსის“ მეშვეობით. შეგროვებული და გაანალიზებული მონაცემები აისახება მათემატიკის სადოქტორო პროგრამის ყოველწლიურ შიდა თვითშეფასების ანგარიშში. ასევე უზრუნველყოფილი იქნება .დოქტორანტების ინფორმირება მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. მათ კონსულტაციას უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამის კოორდინატორებისა და სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის ხელმისაწვდომია ტრენინგ-მოდული პროგრამის შეფასების საკითხებზე, რომელიც მოამზადა უნივერსიტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სფეროში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით.

მათემატიკის სადოქტორო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგებისთვის დადგენილია სამიზნე ნიშნულები. სამიზნე ნიშნულები განსაზღვრულ იქნა მომიჯნავე სადოქტორო პროგრამების აქტიური და კურსდამთავრებული სტუდენტების ბოლო რამდენიმე წლის მონაცემების საფუძველზე. სამიზნე ნიშნულების დაწესება და მისი მიღწევისთვის მუშაობა ხელს უწყობს მაღალი სტანდარტის მიღწევას.

პროგრამის სწავლის შედეგებისა და სამიზნე ნიშნულების ანალიზი დაგეგმილია პროგრამის განხორციელების პირველი ციკლის დასრულების შემდეგ. პროგრამის სამიზნე ნიშნულების მიღწევადობის და სწავლის შედეგების შეფასებებს განიხილავს პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდა პროგრამის სამუშაო ჯგუფი.

შეფასების შედეგების მიხედვით, პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ გათვალისწინებულია პროგრამული ცვლილებების შემუშავება სწავლის შედეგებისა და პროგრამის გასაუმჯობესებლად. ცვლილებების განხილვა და დამტკიცდება მოხდება დოკუმენტის „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“ შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სადოქტორო პროგრამა;
- სილაბუსები/ასისტირების, სადოქტორო კოლოკვიუმის კონცეფციები;
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;
- სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები;
- ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები;
- კომპეტენციების რუკა;
- პროგრამის სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- ტრენინგ-მოდული “Fundamentals of Program Assessment”;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი მათემატიკაში, სადოქტორო კვლევითი განაცხადი, წარმატებით ჩაბარებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში ან შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ზეპირი გამოცდა) უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა ჩარიცხვას პროგრამაზე სასწავლებლად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ეთანხმება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

პროგრამაზე მიღების პირობები და კრიტერიუმები შეესაბამება „ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებას“, ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოკუმენტს „სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა“.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და მისი განთავსდება მოხდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვერ-გვერდზე, რუბრიკა „სწავლა“ www.iliauni.edu.ge.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სადოქტორო პროგრამა;
- პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესსა და პროცედურებს მიხედვით. პროგრამა ასევე ეყრდნობა ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებას.

როგორც პროგრამის სამუშაო ჯგუფის ოქმებიდან დასტურდება, პროგრამის შემუშავების პროცესი განხორციელდა რამოდენიმე ეტაპებად: მათემატიკის სადოქტორო პროგრამის აკადემიური პერსონალის ინიცირებით და ფაკულტეტის დეკანის მხარდაჭერით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ღია კენჭისყრით აირჩია პროგრამის ხელმძღვანელი და მიმართულებების შესაბამისი სამუშაო ჯგუფები. სამუშაო ჯგუფების მიერ შემუშავდა პროგრამის კურიკულუმის პირველადი ვერსია, რომლის დახვეწა-გაუმჯობესება და აკრედიტაციის სტანდარტთან შესაბამისობა მიმდინარეობდა მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში.

სადოქტორო პროგრამის შინაარსი და მოცულობა სრულიად შეესაბამება სადოქტორო საფეხურსა და ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. კერძოდ, სადოქტორო პროგრამაზე სწავლის განმავლობაში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 48 კრედიტი სადოქტორო სემინარებში, ასისტირებასა და სხვა სასწავლო კომპონენტებში, გამოაქვეყნოს 2 სტატია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში და დაიცვას სადოქტორო ნაშრომი. დეტალური ინფორმაცია სადოქტორო სემინარის, სადოქტორო კოლოკვიუმის, ასისტირების და სადისერტაციო ნაშრომის შესახებ მოცემულია შესაბამის კონცეფციებში, რომლებიც

საერთოა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადოქტორო საფეხურისათვის.

დოქტორანტს ეძლევა საშუალება კვლევითი თემატიკის მიხედვით აირჩიოს სასწავლო კურსები. პროგრამის ზოგიერთ კომპონენტზე არსებობს დაშვების წინაპირობები, რაც წინასწარ ცნობილია სტუდენტისთვის პროგრამის აღწერიდან, შესაბამისი კურსის/კომპონენტების სილაბუსიდან და კონცეფციებიდან, რომელებიც განთავსებულია ელექტრონულ სისტემა ,,არგუსში". საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტს მიეცემა შესაძლებლობა პროგრამაში არსებული კურსების გარდა კრედიტების გარეშე გაიაროს ე.წ. აღდგენითი კურსი სამაგისტრო საფეხურიდან.

აღსანიშნავია, რომ სადოქტორო პროგრამის აუცილებელი პირობაა საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში პუბლიკაციების გამოქვეყნება. კერძოდ, დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება შესაბამის სფეროში მინიმუმ ორი სამეცნიერო პუბლიკაცია Clarivate Analytics Web of Science-ის ბაზაში შემავალ 0.5-ზე მაღალი იმპაქტფაქტორის მქონე თემატურ ჟურნალში ან Scopus-ის ნუსხაში შემავალ 0.5-ზე მაღალი ციტირების ქულის (CiteScore) მქონე თემატურ ჟურნალში, რაც ასახულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში.

სადოქტორო პროგრამა სრულდება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით და მისი საჯარო დაცვით. დაცვა ხდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს წინაშე.

ინფორმაცია პროგრამის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდსა და სისტემა „არგუსში".

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ილიას სახელმწიფო უნივერიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- სადოქტორო პროგრამა;
- სილაბუსები / კონცეფციები ;
- პროგრამის სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დო ქტორანტურის დებულება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა დაგეგმილი და შემუშავებულია კარგად. მის სასწავლო კურსებში ასახულია როგორც ქართული მათემატიკურის სკოლის ტრადიციული მიმართულებები (სინგულარული ინტეგრალური განტოლებებისა და დრეკადობის თეორია), ისე თანამედროვე ალგებრა (ალგებრული ტოპოლოგია, ჰომოლოგიური ალგებრა, ალგებრული K-თეორია). პროგრამაში ფიგურირებს აგრეთვე 6 კრედიტიანი არჩევითი კურსი „კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების მეთოდები უმაღლეს განათლებაში“, რაც ხელ შეუწყობს მათ ინტეგრირებას აკადემიურ სფეროში.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება სწავლების საფეხურს, პროგრამის სწავლის შედეგებს, ასევე ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. სწავლების მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარსა და სწავლის შედეგების მიღწევას. ხდება სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება.

დოქტორანტს მიღების წინაპირობად მოეთხოვება კვლევითი განაცხადის წარმოდგენა, რაც განაპირობებს იმას, რომ მას პირველივე წლიდან შეუძლია დაიწყოს მუშაობა საკვლევ თემაზე. სადოქტორო პროგრამა იწყება სადოქტორო სემინარების (სულ - 12 კრედიტი) სერიით, რომელიც სრულდება პროსპექტუსის წარდგენით და მისი დაცვით სწავლების მეორე სემესტრის ბოლოს დარგობრივი კომისიის წინაშე. პროსპექტუსის დაცვის შემდეგ დოქტოტანტი ერთვება სადოქტორო კოლოკვიუმებში. დოქტორანტმა უნდა შეასრულოს სემესტრში ერთი კოლოკვიუმი. ამ ეტაპზე დოქტორანტს უკვე შეუძლია ჩაერთოს ასისტირებაში. ასისტირება არის სადოქტორო პროგრამის ის კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ინტეგრირებას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში. პროგრამით გათვალისწინებულია როგორც სწავლების, ასევე კვლევის ასისტირება (დაწვრილებით იხ. ასისტირების კონცეფცია).

სილაბუსები შედგენილია უნივერსიტეტში არსებული სტანდარტების დაცვით. თითოეულ კურსში გამოიყენება რელევანტური სწავლა-სწავლების მეთოდები კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა თანამედროვეა, დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. კურსის სილაბუსებში/კონცეფციებში მითითებული სასწავლო მასალა სრულად არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და გაზიარებულია სისტემა “არგუსის” საშუალებით ან/და “moodle”-ში, შესაბამისი კურსის გვერდზე. უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ელექტრონული სამეცნიერო ბაზებზე (ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate Anallytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა) ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სადოქტორო პროგრამა;
- კომპეტენციების რუკა;
- სილაბუსები / კონცეფციები;
- ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა / პროფესიულ სტუდენტთა შეფასების , კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით / განმეორებით კურსებზე / კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (#688, https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830%23?publication=75);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა კვლევითი, ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. სადოქტორო საფეხურის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტი სწავლის საწყისი ეტაპიდანვე არის აქტიურად ჩართული სამეცნიერო კვლევაში. კვლევითი პროექტი სრულდება ფუნდამენტური და ინტერდისციპლინური მათემატიკური კვლევების ინსტიტუტის ბაზაზე. დოქტორანტი იყენებს სასწავლო კომპონენტში შეძენილ ცოდნას და უნარებს სადოქტორო კვლევის ჩატარებისა და საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადებისათვის. მას ხელმძღვანელობას უწევს დარგის პროფესორი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

დოქტორანტის კვლევით საქმიანობას მხარდაჭერას უწევს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის და განვითარების სამსახურები. სამსახურები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კოორდინაციას უწევს დოქტორანტების ინფორმირებას საქართველოსა თუ საზღვარგარეთ მიმდინარე პროექტებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ, ეხმარებიან ახალი პროექტების მომზადებაში.

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი უზრუნველყოფს წარჩინებული დოქტორანტების კონფერენციებისა თუ სხვა სახის სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსებას ხელმძღვანელის წარდგინებით, კვლევების საჭიროებიდან გამომდინარე. ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევის პროცესში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწესებულია პასკალის პრემია - ფულადი ჯილდო, რომელიც გადაეცემა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან აფილირებულ ახალგაზრდა მეცნიერს მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამეცნიერო ნაშრომისთვის (სტატიისთვის).

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წელს დაფუძნდა კარლ-ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის სახელობის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა, რომელიც იგეგმება, რომ გახდეს „ქოლგა“ სადოქტორო სკოლა საერთო საშუალებებითა და ინსტრუმენტებით უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტისთვის, ხარისხის კონტროლისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით. იქნება რა ორიენტირებული საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და მობილობაზე, ის მსურველებს შესთავაზებს ორმაგ სადოქტორო პროექტებს (Cotutelle-based Ph.D. projects).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სადოქტორო პროგრამა;
- სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება;
- განვითარების სამსახურის დებულება;
- საგარეო ურთიერთობების სამსახურის დებულება;
- პასკალის პრემიის დაწესების შესახებ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება (ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში);
- ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის დებულება;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო საფეხურის კურსდამთავრებულ და მოქმედ სტუდენტთა გამოკითხვა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის თითოეული კომპონენტის სილაბუსებში/კონცეფციებში მითითებულია სწავლების შესაბამისი მეთოდები, რაც შეესაბამება სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ვერბალური მეთოდი, დისკუსია, პრაქტიკული მუშაობის მეთოდი, სუპერვიზია, რეფლექსია და სხვა.

სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი, უნივერსიტეტში ხდება დოქტორანტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. გამოიყენება აგრეთვე ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც შეიძლება ინიშნებოდეს წინასწარ, საკონსულტაციო საათების ფარგლებში ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე სისტემა "არგუსის" ან კორპორატიული მეილის საშუალებით. აღნიშნული აქტივობის ეფექტურობის შეფასება მოხდება როგორც სტუდენტთა სერვისების შეფასების ფარგლებში, ასევე თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში.

ცალკე შევჩერდებით სადოქტორო სემინარებზე. როგორც პროგრამის თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, სადოქტორო სემინარები მოიცავს დოქტორანტის რეგულარულ შეხვედრებს სამეცნიერო ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან, რაც უზრუნველყოფს რეგულარული უკუკავშირის მიღებას პროსპექტუსის პროგრესთან დაკავშირებით.

სადოქტორო სემინარის (I და II) კონცეფციებში, შეფასების წესებში წერია, რომ „დოქტორანტმა შესაძლებელია სადოქტორო სემინარი გაიაროს online-რეჟიმში იმ შემთხვევაში, თუ თვითონ იმყოფება საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ან მისი ხელმძღვანელი იმყოფება საზღვარგარეთ სამუშაო ვიზიტის ან სტაჟირების ფარგლებში. ამ შემთხვევაში დოქტორანტი ვალდებულია განცხადებით გააფრთხილოს ფაკულტეტის ადმინისტრაცია, რომელსაც თან უნდა ახლდეს ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი სადოქტორო სემინარის გეგმა. გეგმაში დამატებითად უნდა იყოს მითითებული სემინარების განრიგი და დაკავშირების საშულება (skype ან სხვა). online-რეჟიმში სწავლების შემთხვევაში პროსპექტუსის შუალედური ანგარიშების ატვირთვა ხდება moodle-ის სისტემაში."

ასეთი შემთხვევა შესაბამისად კი არის დაგეგმილი, მაგრამ ვთვლით, რომ ეს წარმოადგენს ელექტრონულ სწავლებას უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვით. მართლაც, კანონში გვ.2-ზე (https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830%23?publication=75, #688) ვკითხულობთ, რომ „ელექტრონული სწავლება არის **საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი** პირებისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე კვალიფიკაციის მისაღებად ორგანიზებული, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი **ან მისი ნაწილი,** რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილზე სტუდენტისა და მასწავლებლის ერთდროულად ყოფნას." ამავე კანონში (გვ.44, მუხლი 47[4], პუნქტი 4) ნათქვამია, რომ „ელექტრონული სწავლების გამოყენება დასაშვებია **მხოლოდ** ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში." ამრიგად, ელექტრონული სწავლება **დასაშვები არ არის უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე.**

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, 1 სემესტრიანი და 6 კრედიტიანი ორივე სადოქტორო სემინარის კონცეფციაში შეფასების წესები ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ არ დაირღვეს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის ზემოხსენებული პუნქტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სადოქტორო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები/კონცეფციები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- სისტემა „არგუსი";

- კურსების შეფასების მექანიზმი და კითხვარი;
- სერვისების შეფასების კითხვარი - სტუდენტები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნებ

როგორც პროგრამის თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, სადოქტორო სემინარები მოიცავს დოქტორანტის რეგულარულ შეხვედრებს სამეცნიერო ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან, რაც უზრუნველყოფს რეგულარული უკუკავშირის მიღებას პროსპექტუსის პროგრესთან დაკავშირებით.

სადოქტორო სემინარის (I და II) კონცეფციებში, შეფასების წესებში წერია, რომ „დოქტორანტმა შესაძლებელია სადოქტორო სემინარი გაიაროს online-რეჟიმში იმ შემთხვევაში, თუ თვითონ იმყოფება საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ან მისი ხელმძღვანელი იმყოფება საზღვარგარეთ სამუშაო ვიზიტის ან სტაჟირების ფარგლებში. ამ შემთხვევაში დოქტორანტი ვალდებულია განცხადებით გააფრთხილოს ფაკულტეტის ადმინისტრაცია, რომელსაც თან უნდა ახლდეს ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი სადოქტორო სემინარის გეგმა. გეგმაში დამატებითად უნდა იყოს მითითებული სემინარების განრიგი და დაკავშირების საშულება (skype ან სხვა). online-რეჟიმში სწავლების შემთხვევაში პროსპექტუსის შუალედური ანგარიშების ატვირთვა ხდება moodle-ის სისტემაში."

ასეთი შემთხვევა შესაბამისად კი არის დაგეგმილი, მაგრამ ვთვლით, რომ ეს წარმოადგენს ელექტრონულ სწავლებას უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვით. მართლაც, კანონში გვ.2-ზე (https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830%23?publication=75, #688) ვკითხულობთ, რომ „ელექტრონული სწავლება არის **საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი** პირებისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე კვალიფიკაციის მისაღებად ორგანიზებული, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი **ან მისი ნაწილი,** რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილზე სტუდენტისა და მასწავლებლის ერთდროულად ყოფნას." ამავე კანონში (გვ.44, მუხლი 47[4], პუნქტი 4) ნათქვამია, რომ „ელექტრონული სწავლების გამოყენება დასაშვებია **მხოლოდ** ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში." ამრიგად, ელექტრონული სწავლება **დასაშვები არ არის უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე.**

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, 1 სემესტრიანი და 6 კრედიტიანი ორივე სადოქტორო სემინარის კონცეფციაში შეფასების წესები ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ არ დაირღვეს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის ზემოხსენებული პუნქტები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სტუდენტების შეფასება ხორციელდება წინასწარ შემუშავებული ფორმებისა და პროცედურების შესაბამისად. სასწავლო კომპონენტების შეფასება 100 ქულიანი სისტემით ხდება და მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. ამასთან, კონკრეტული კურსის შეფასების სისტემა შეესაბამება მის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ნაშრომები იტვირთება პროგრამა „Moodle" -ში და მოწმდება პლაგიატზე პროგრამა ,,Turnitin"-ის მეშვეობით.

ზოგიერთი კომპონენტის ფარგლებში უზრუნველყოფილია რამოდენიმე შემფასებელი. დოქტორანტს ეძლევა საშუალება ლექტორისაგან მიიღოს საკუთარი ნაშრომისა და შეფასების შესახებ უკუკავშირი. უნივერსიტეტშიში არსებობს აკადემიური მოსწრების გასაჩივრების მექანიზმი.

სადოქტორო კვლევის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებებით გათვალისწინებულია სადისერტაციო თემის შესაბამისი მინიმუმ ორი საერთაშორისო პუბლიკაციის წარდგენა, რომელიც დაიბეჭდება Clarivate Analytics Web of Science-ის ბაზაში შემავალ 0.5-ზე მაღალი იმპაქტფაქტორის მქონე თემატურ ჟურნალში ან Scopus-ის ნუსხაში შემავალ 0.5-ზე მაღალი ციტირების ქულის (CiteScore) მქონე თემატურ ჟურნალში.

სადოქტორო ნაშრომი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის მოთხოვნებს. ნაშრომი შემოწმდება პლაგიატზე და პროცესის ნებისმიერ ეტაპზე მისი აღმოჩენის შემთხვევაში ნაშრომი დისკვალიფიცირებული იქნება დაცვის პროცედურებიდან, ხოლო დოქტორანტი გაირიცხება პროგრამიდან აკადემიური არაკეთილსინდისიერების გამო.

სადოქტორო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცედურა დაწვრილებით არის გაწერილი სადოქტორო ნაშრომის კონცეფციაში. კერძოდ, სადოქტორო ნაშრომი ეტაპობრივად წარედგინება

ხელმძღვანელ(ებ)ს და რეცენზენტებს, რაც გაწერილია ფორმაში „სადოქტორო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცესის ეტაპები“ (სადოქტორო ნაშრომის კონცეფცია, დანართი 5).

პირველ ეტაპზე სადოქტორო ნაშრომის პირველი ვერსია წარედგინება დოქტორანტის ხელმძღვანელ(ებ)ს, რომლებიც ნაშრომის განხილვის შემდეგ აწვდიან დოქტორანტს უკუკავშირს პროგრამაში გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით („ხელმძღვანელის მიერ სადოქტორო ნაშრომის განხილვის ფორმა”, დანართი #1). უკუკავშირს თან უნდა ახლდეს შენიშვნები და რეკომენდაციები. ამის საფუძველზე დოქტორანტი ამზადებს სადოქტორო ნაშრომის მეორე ვერსიას (მეორე ეტაპი). ნაშრომი კვლავ ეგზავნება ხელმძღვანელ(ებ)ს ცვლილებების ადეკვატურობის დადგენის მიზნითს. თუ ნაშრომი შეტანილი ცვლილებებით შესაბამისობაში არ აღმოჩნდება ყველა კრიტერიუმთან, ხელმძღვანელ(ებ)ი განსაზღვრავენ კორექტირებული ნაშრომის ხელახალი წარდგენის ვადას (დანართი #1). ხოლო თუ შემოწმების შედეგად დადგინდება ნაშრომის შესაბამისობა კრიტერიუმებთან, ხელმძღვანელი ფაკულტეტის ადმინისტრაციას გაუგზავნის შესაბამის წარდგინებას (დანართი #2) სადოქტორო ნაშრომთან ერთად, რის შემდეგაც ფაკულტეტის ადმინისტრაცია იწყებს დაცვის პროცედურებს. კერძოდ, ადმინისტრაცია დოკუმენტებს წარუდგენს დარგობრივ კომისიას. მიღებული დოკუმენტების საფუძველზე კომისია ადგენს სარეკომენდაციო სიას სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის და რეცენზენტების (მინიმუმ ორი) შესახებ. სია ეგზავნება ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა, შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები ითვალისწინებს კონკრეტული დარგის სპეციფიკას, არის გამჭვირვალე და სამართლიანი.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც უზრუნველყოფს პერსონალისთვის ტრენინგ-მოდულების შეთავაზებას სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებში. მოდულები შემუშავებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე, Erasmus+ ინსტიტუციური თანამშრომლობის (CBHE/ExTempus) საგრანტო პროექტების ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- სადისერტაციო ნაშრომის კონცეფცია;
- ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომისა და დოქტორანტურის დებულება;
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის საოპერაციო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე , აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სასწავლო პროფილის განსაზღვრისა და შემდგომი კონსულტირებისთვის უნივერსიტეტი იყენებს რამდენიმე შესაძლებლობას. საგანამანთლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტებს უფორმდებათ ხელშეკრულებები, სადაც დეტალურადაა ასახული სწავლის პირობები, ასევე მხარეთა უფლებები და ვალდებულებები. შესაბამისად, დოქტორანტი სწავლის დაწყებამდე ფლობს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ძირითად ინფორმაციას.

გარდა ამისა, უნივერსიტეტში არსებობს არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა ,,არგუსი.'' თითოეული სტუდენტის გაწევრიანება საინფორმაციო ქსელებში ხდება ხელშეკრულების გაფორმებისთანავე. ეს უზრუნველყოფს სტუდენტის სრულფასოვან ჩართულობას შიდასაუნივერსიტეტო საინფორმაციო სივრცეში. ''არგუსში''თითოეულ სტუდენტს და ლექტორს გააჩნია ინდივიდუალური გვერდი/პროფილი. სისტემა წარმოადგენს კომუნიკაციის ეფექტურ საშუალებას, რომლის მეშვეობით სტუდენტს ეძლევა საშუალება ლექტორთან კომუნიკაცია ჰქონდეს ონლაინ რეჟიმშიც.

სტუდენტი იღებს საჭირო ინფორმაციასა და დახმარებას სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმისთვის ფაკულტეტის პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან და სადოქტორო პროგრამების კოორდინატორთან.

პროგრამის კვლევითი კომპონენტის განხორციელების დაგეგმვა კოორდინატორთან და ხელმძღვანელთან კონსულტირების საფუძველზე ხდება. ხელმძღვანელთან კონსულტაციებით დოქტორანტი წინასწარ განსაზღვრავს სამუშაო გეგმას, რათა ყველაფერი შეასრულოს დადგენილ ვადებში.

დასაქმებასთან და კარიერულ განვითარებთან დაკავშირებით დოქტორანტს ინფორმაციის მიღება შეუძლია როგორც ელექტორნულად, ასევე მას შეუძლია გაიაროს კონსულტაცია უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებთან.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სისტემატურად მართავს ტრენინგებს უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემისა და რესურსების (Moodle, ელექტორონული ბაზები) მოხმარების საკითხებზე.

უნივერსიტეტის დოქტორანტებისთვის საერთშორისო მობილობის შეთავაზებას უზრუნველყოფს საგარეო ურთიერთობების სამსახური, რომელიც ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს (მაგ. Erasmus+). აღნიშნული სამსახური ხელმისაწვდომს ხდის შესაბამის ინფორმაციას ვებგვერდის, „არგუსის“, ელფოსტისა და სოციალური ქსელის მეშვეობით, მართავს საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან, უწევს მათ ინდივიდუალურ კონსულტაციას და ეხმარება ყველა შემდგომი საფეხურის დოკუმენტების მომზადებაში.

საგარეო ურთიერთობების სამსახური ასევე უზრუნველყოფს დოქტორანტებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საზაფხულო სკოლების, საერთაშორისო სტიპენდიები, კონფრენციების, და ა.შ.).

აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს ეძლევათ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობა სხვა დაფინანსების არქონის შემთხვევაში - ხელმძღვანელის წარდგინებით უნივერსიტეტი აფინანსებს მათ მივლინებას, თუ აღნიშნული ღონისძიებაში მონაწილეობა მნიშვნელოვანია მათი კვლევისათვის და სტუდენტი ზეპირი მოხსენებით გამოდის. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით • საგარეო ურთიერთობების სამსახურის დებულება; • ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა http://library.iliauni.edu.ge • საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები - ხელმისაწვდომია: • https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/foreignrelations/gacvliti-programebi; • არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა: „არგუსი"; • პროგრამების ხელმძღვანელების საქმიანობის წესი; • სილაბუსები და კონცეფციები. • ინტერვიუ მომიჯნავე სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი აუცილებლად უნდა იყოს ჩართული როგორც სწავლების, ასევე კვლევით პროცესებში. უნივერსიტეტში დოქტორანტურის პროგრამები მზადდება მხოლოდ იმ მიმართულებით, რომელზედაც უნივერსიტეტში მიმდინარეობს სამეცნიერო კვლევები. ამდენად, დოქტორანტურის ყოველი სტუდენტი უზრუნველყოფილია კვალიფიციური ხელმძღვანელით (საჭიროების შემთხვევაში ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი), რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო გამოცდილება და პუბლიკაციები. დოქტორანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და ხელმძღვანელობის პროცესი რეგულირდება ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით. დასაშვებია, რომ პროფესორი ხელმძღვანელობდეს მაქსიმუმ ხუთ აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტს.

სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქციებში შედის რეგულარული კონსულტაციები დოქტორანტებთან (სიხშირე - საკვლევი თემის სპეციფიკის მიხედვით), რაც მოიცავს სამეცნიერო რჩევების მიცემას, დახმარებას, დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას, ხელშეწყობას საკვალიფიკაციო ნაშრომის წერის პროცესში, დახმარებას სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის პროცესში და სხვა.

წარდგენილ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიციურობა დარგში დასტურდება მათ მიერ რეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით.

აკადემიური პერსონალის კომპეტენტურობა ცხადყო, აგრეთვე, მათთან ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრებისა და გასაუბრების შედეგებმაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სადოქტორო პროგრამა;
- სადოქტორო პროგრამის კომპონენტების სილაბუსები/კონცეფციები;
- ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი, პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის წესი
- აკადემიური პერსონალის CV-ები;
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი გამოირჩევა დარგში მაღალი კვალიფიკაციით. მათი კომპეტენტურობა დასტურდება მათი ნაშრომების რაოდენობით, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით, კვლევით და საგანმანათლებლო პროექტებში ჩართულობით. შესაბამისი ინფორმაცია ასახულია მათ CV-ებში, ხოლო ბოლო 5 წლის მონაცემები მიუთითებს მათ სამეცნიერო პროდუქტიულობაზე.

აკადემიური პერსონალის კომპეტენტურობა ცხადყო, აგრეთვე, მათთან ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრებმა - მოპოვებული იქნა 2018-2019 წლის მონაცემებიც სამეცნიერო ნაშრომების მხრივ, რაც შთამბეჭდავია და ასახულია დარგის მაღალრეიტინგულ ჟურნალებში მათ მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების რაოდენობაში. ნაშრომები შებამისობაშია პროფესორების მიერ შეთავაზებული კომპონენტების დარგობრივ კომპეტენციებთან და აგრეთვე პოტენციური დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკასთან.

ექსპერტთა ჯგუფი აგრეთვე გაეცნო პროგრამაში სასწავლო კურსით „კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში“ ჩართული განათლების მიმართულების ერთ-ერთი პროფესორის სამეცნიერო ნაშრომებისა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელ ჩამონათვალს, რომელიც ადასტურებს მის კომპეტენტურობას და რომელიც არ იყო სრულად წარმოდგენილი თავდაპირველ დოკუმენტებში.

როგორც სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს, ისე მასში ჩართული პროფესორებს აქვთ საერთაშორისო სამეცნიერო რეპუტაცია და ფართო საერთაშორისო კოლაბორაციული ქსელი, არიან რიგი პროფესიული საერთაშორისო საზოგადოების წევრები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების საპროგრამო კომიტეტის წევრები, სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრები, სხვადასხვა დროს - ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორები.

პროგრამის აკადებიურ პერსონალთან შეხვედრების დროს ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა მათი გამოცდილებით მაგისტრანტების, ასევე დოქტორანტების მომზადება/ რეცეზირებაში და სადისერტაციო საბჭოების მუშაობაში. პროგრამის ხელმძღვანელის ხელმძღვანელობით დაცულია 5

დისერტაცია, მათ შორის ერთი - უცხოეთში. სადოქტორო პროგრამაში მონაწილე ყველა პროფესორს აქვს მდიდარი გამოცდილება მაგისტრანტების ხელმძღვანელობისა, აგრეთვე დოქტორანტურის საფეხურზე სხვადასხვა ფორმით ჩართულობისა.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ისინი აღჭურვილნი არიან დარგში უახლესი ცოდნით და მათი პრაქტიკული გამოცდილება ქმნის იმის საფუძველს, რომ პროგრამით განსაზღვრული შედეგები იყოს მიღწეული. აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გამოცდილება კი უზრუნველყოფს დარგში თანამედროვე ტენდენციებისა და მიღწევების გამოყენებას დოქტორანტების ეფექტური ხელმძღვანელობისთვის.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეესაბამება მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას, რაც, თავის მხრივ, შეესაბამება დოქტორანტის პოტენციური ხელმძღვანელის სამუშაო დატვირთვას. აღნიშნული უზრუნველყოფილია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ყოველსემესტრული დატვირთვის სქემით, რაც შემუშავებულია ფაკულტეტის მიერ. ფაკულტეტზე შემუშავებული რეგულაციების მიხედვით ერთ პროფესორს უნდა ჰყავდეს არაუმეტეს 5 აქტიური დოქტორანტისა. ის, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩაბმულია მხოლოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, გარკვეულწილად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

უნივერსიტეტში მოქმედი წესებით „პროგრამის შექმნისა და განვითარების, პროგრამის განხორციელების შეფასების და პროგრამების შეფასების კრიტერიუმების შესახებ“, აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულებებით, აკადემიური პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებში, სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის გარდა, გათვალისწინებულია ჩართულობა პროგრამის შექმნასა და განვითარებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, და სხვა.

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა არ არის ამოქმედებული, პერსონალის დენადობის მაჩვენებელი არ არის გამოვლენილი.

პროგრამის წარმატებული განხორციელების საფუძველია სასწავლო პროცესის მართვის ეფექტური მექანიზმების არსებობა. ამ მექანიზმების ფუნქციონირება უზრუნველყოფილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის მიერ. ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალს წარმოადგენენ დეკანი, დეკანის თანაშემწე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კურიკულუმის ექსპერტები, სტუდენტთა კოორდინაციის სამსახური და საქმის წარმოების და ფინანსური სამსახური. დოქტორანტებს კონსულტაციას უწევენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები - კურიკულუმის ექსპერტები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავენ დოქტორანტებისთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და ხელს უწყობენ თითოეულ მათგანს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში.

სასწავლო პროცესის მართვაში ჩართულ პირთა კომპეტენცია დასტურდება როგორც მათი პირადი საქმეებით, ისე ვიზიტის ფარგლებში მათთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგებით. ამრიგად, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კომპეტენცია და მათ მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის ეფექტურობა დადასტურდა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, ასევე აკადემიურ-სასწავლო პერსონალთან ინტერვიუს დროსაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- აკადემიური / ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- აკადემიური პერსონალის საქმინობის შეფასების წესი;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
- აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები;
- ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დებულება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე შემუშავებულია აკადემიური პერსონალის შეფასების მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას. შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათი წახალისებისა და დაწინაურებისთვის.

უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობას მხარდაჭერას უზრუნველყოფს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს და ეხმარება აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში. სამსახურების საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით. აღნიშნული სამსახური ასევე კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ერთეულების შიდა დაფინანსების ღია და გამჭვირვალე პრინციპებისა და პროცედურების შემუშავებას, რომლის მიხედვითაც, წინა პერიოდის შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის სპეციალურად შექმნილი სამეცნიერო საბჭო აძლევს რეკომენდაციას აკადემიურ საბჭოს სამეცნიერო კვლევითი ერთეულების სამომავლო პროექტების დაფინანსების შესახებ. აღნიშნული პროცესი გამჭვირვალეა და საჯარო. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია განვითარების სამსახური, რომელიც ხელს უწყობს უნივერსიტეტის მკვლევრებისა და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობას საერთაშორისო პროექტებში და ახდენს შესაბამისი დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებას და მოზიდვას. განვითარების სამსახური ასევე ეხმარება პერსონალს საპროექტო განაცხადების მომზადებასა და წარდგენაში, გრანტების ადმინისტრირებაში, საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი შეხვედრების ორგანიზებაში, საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში.

უნივერსიტეტი ორიენტირებულია პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. კერძოდ, პერსონალისათვის იქმნება ტრენინგ-მოდულები. ამ მიზნებისთვის უნივერსიტეტში შეიქმნა აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგმოდულების შეთავაზებას. აღნიშნული ცენტრი დაარსდა ERASMUS + პროექტის PRINTeL მხარდაჭერით.

პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებებიდან გამომდინარე უნივერსიტეტში სამომავლოდაც იგეგმება რიგი ტრენინგ-მოდულების შექმნა ERASMUS+ მიმდინარე პროექტების ფარგლებში. გარდა ამისა, უნივერსიტეტში არის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობას ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით შექმნილია სამეცნიერო კაფე, რომლის მიზანია, ცნობილი მკვლევრები დააკავშიროს დაინტერესებულ საზოგადოებას, რომელსაც უყვარს მეცნიერება

და აინტერესებს სხვადასხვა დარგში მიმდინარე ტენდენციები და სიახლეები. შეხვედრები ინტერაქტიულია, ხოლო ინფორმაცია შეხვედრებთან დაკავშირებით - საჯარო. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ფინანსურ მხარდაჭერას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შეფასების წესი; სერვისებთან დაკავშირებით პერსონალის კვლევის ინსტრუმენტები; • განვითარების სამსახურის დებულება; • სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი - ხელმისაწვდომია: https://iliauni.edu.ge/uploads/other/46/46426.pdf • სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება ; ხელმისაწვდომია : https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44379.pdf • კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი - ხელმისაწვდომია: https://iliauni.edu.ge/uploads/other/1/1090.pdf • აკადემიური პერსონალის მობილობის მაჩვენებელი - ხელმისაწვდომია განვითარების სამსახურში ; • უნივერსიტეტში მიმდინარე ERASMUS+ CBHE პროექტები; • აკადემიური პერსონალის და მასწავლებლების განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს: სალექციო აუდიტორიებს, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას (თავისი ელექტრონული ბაზებით), სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელის „არგუსი", Moodle, პლაგიარზმზე სემოწმების სისტემას Turnitin. უნივერსიტეტში ახალი შექმნილია გამოთვლითი ცენტრი, რომლის კომპიუტერებზე Linux უფასო ოპერაციული სისტემის ბაზაზე ხელმისაწვდომი იქნება ღია წვდომის ისეთი პროგრამული პაკეტები, როგორიცაა Octave, რომელიც Matlab-ის უფასო ალტერნატივას წარმოადგენს, და დაპროგრამებისა და ვიზუალიზაციის გარემო Julia, რომლებიც გამოსადეგი იქნება მათემატიკის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისათვის.

ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ბიბლიოთეკა წარმოადგენს ინფორმაციულ რესურსცენტრს, რომელიც მრავალფეროვან სერვისებს სთავაზობს მომხმარებელს.

ბიბლიოთეკაში მოქმედებს სარგებლობის წესები და ინსტრუქციები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე და თვალსაჩინოა დარბაზებსა, თუ სხვა ტიპის სივრცეებში.

ბიბლიოთეკა მომხმარებელს სთავაზობს მუდმივად განახლებად წიგნად ფონდს. ახალი წიგნების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად ქვეყნდება ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში. ბიბლიოთეკა ფლობს მდიდარ ელექტრონულ ბიბლიოთეკას. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო აკადემიური ბაზები, ცალკეული პერიოდული ჟურნალები, და სხვა, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული: Clarivate Analitics (ყოფილი Thomson Reuters Web of Science); Scopus; Ulrich's Index და სხვა (https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/biblioteka/eleqtronuli-resursebi).

ბიბლიოთეკის მიერ შეთავაზებულ სერვისებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტრენინგებს: „სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენებისა" და „საბიბლიოთეკო რესურსებისა და

სერვისების გამოყენების შესახებ". ინფორმაციას სერვისების შესახებ მომხმარებელი იღებს სისტემა „არგუსის" საშუალებით. კომუნიკაციის ეფექტური საშუალებაა აგრეთვე სოციალური ქსელი. აღსანიშნავია ბიბლიოთეკის სერვისები: „შეეკითხე ბიბლიოთეკარს", „წიგნის დაჯავშნა", „ჯგუფური მუშაობის სივრცის დაჯავშნა", „ბიბლიოთეკათშორისი სერვისი", „შეამოწმე დავალიანება", „ამობეჭდვის სერვისი" და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით • უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები : http://library.iliauni.edu.ge/; • ელექტრონული სწავლების პორტალი : http://moodle.iliauni.ed u.ge/; • ხელშეკრულება Turnitin სერვისის ლიცენზიის გადაცემის შესახებ - ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში; • თვითშეფასების ანგარიში; • საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან დადებული ხელშეკრულებები; • სერვისების შეფასების კითხვარი - სტუდენტები. • დაწესებულებაში ვიზიტი და ინტერვიუები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნივერსიტეტის პრიორიტეტულ საქმიანობას სწავლებასთან ერთად კვლევა წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს უფასო სადოქტორო პროგრამები და ხდება მათი განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების გამოყოფა, რაც, რა თქმა უნდა, კვლევის ხელშეწყობის მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. რასაკვირველია, დოქტორანტებს დაწესებული აქვთ გონივრული ნიშნულები აკადემიური მოსწრების დონის მხრივ, რომელთა მიღწევა სავალდებულოა 3-5 წლის განმავლობაში უფასო სწავლისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მოუწევთ გადასახადის გადახდა. კერძოდ, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების მუხლი 19 ეხება დოქტორანტურაში სწავლის საფასურს. დოქტორანტურაში სწავლა უფასოა 5 წლის განმავლობაში. სწავლა ფასიანია უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. შესაძლებელია აგრეთვე, დოქტორანტურაში მიღება გამოცხადდეს ფასიან ადგილებზე. დოქტორანტურაში სწავლის შესაბამისი სემესტრიდან სადოქტორო პროგრამის მოთხოვნების ვადაში შეუსრულებლობისას, დებულების 19.4. 19.3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, ან სწავლის მეექვსე წლიდან დოქტორანტმა უნდა გადაიხადოს სწავლის საფასური ყოველი შემდეგი სემესტრისათვის უნივერსიტეტში დადგენილი საფასურის რაოდენობითა და წესით. უფასო სადოქტორო პროგრამების განხორციელება ეკონომიკურად მიღწევადია და უნივერისიტეტის ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამების გრძელვადიან მხარდაჭერას, რაც დასტურდება შემდეგი ფაქტორებით: – პროგრამაში მონაწილე პროფესორები უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენენ და მათი ანაზღაურება გათვალისწინებულია უნივერისტეტის საერთო ბიუჯეტში; – პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებული იქნება უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათ შორის სალექციო და საპრეზენტაციო სივრცეები, ელექტრონული ბაზები, საბიბლიოთეკო ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამას საჭირო ლიტერატურით; – მათემატიკის სადოქტორო პროგრამა განხორციელდება ფუნდამენტური და ინტერდისციპლინური მათემატიკური კვლევების ინსტიტუტის ბაზაზე, რომელიც რეგულარულად ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, როგორც წარმატებული ინსტიტუტი. ინსტიტუტს გააჩნია სხვადასხვა ფონდების საგრანტო დაფინანსებაც; – პროგრამის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს ბიზნესის, ტექნოლოგიისა დაგანათლების ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით • სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ახორციელებს როგორც გეგმიურ, ასევე საჭიროებაზე დაფუძნებულ კვლევასა და შეფასებებს. უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე".

პროგრამასთან დაკავშირებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ეტაპების თანმიმდევრობაზე უნივერსიტეტში ვიზიტის დროს იყო საუბარი. პროცესი შემდეგნაირადაა დაგეგმილი: კვლევა /შეფასების ჩატარება; პროგრამასთან დაკავშირებული კვლევის შედეგების ფაკულტეტებისთვის მიწოდება; ამ შედეგების გამოყენებით პროგრამის ხელმძღვანელების მიერ პროგრამის შიდა პერიოდული თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და მისი წარდგენა ფაკულტეტის საბჭოსთვის; აქ ხდება საქმიანობის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა, ასევე გაუმჯობესების შესაძლებლობების განსაზღვრა, რაც აისახება პროგრამასთან დაკავშირებით ფაკულტეტის აკადემიური საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებაში და, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამაში ცვლილებების განხორციელებაში.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მოქმედი საერთაშორისო სადოქტორო სკოლის ფარგლებში გათვალისწინებულია სადოქტორო საფეხურის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება და გაუმჯობესება საერთაშორისო პარტნიორების (გიოტინგენის უნივერსიტეტი) ჩართულობით. გიოტინგენის უნივერსიტეტთან ერთად უნივერსიტეტი ახორციელებს ერთობლივ სადოქტორო პროგრამას.

სისტემა „არგუსის“ მეშვეობით რეგულარულად განხორციელდება სტუდენტების, ადმინისტრაციულ- ლი და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა. კერძოდ, წელიწადში ორჯერ

ხორციელდება სტუდენტების პროგრამით კმაყოფილების კვლევა და კურსების/კომპონენტების შეფასებას. ანალოგიურად განხორციელდება კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევა. აღნიშნული მექანიზმი მუშაობს ამჟამად არსებული სხვა პროგრამების შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ შიდა ხარისხის მექანიზმების სიახლეებთან დაკავშირებული საჭიროების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, შეიმუშავა ტრენინგ-მოდული პროგრამის შეფასების საკითხებზე, რომელიც ხელმისაწვდომია პროგრამის ადმინისტრატორებისთვის, ხელმძღვანელე-ბისთვის და სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- პროგრამის ხელმძღვანელების საქმიანობის წესი;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელი კვლევის
- ინსტრუმენტები;
- ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის დებულება;
- ტრენინგ მოდული „Fundamentals of Program Assessment";
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად უნივერსიტეტი იყენებს გარე შეფასების მექანიზმებს, რაც ეფუძნება დებულებებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და ავტორიზაციის შესახებ.

უნივერსიტეტში განხორციელებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების პერიოდული ანგარიში წარედგინება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შესაბამისი ვადებისა და წარდგენის ფორმების დაცვით.

განსახილველი პროგრამა ახალია. სადოქტორო პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს პროგრამის მომზადების დროს რეგულარული კონსულტაციები ჰქონდათ ქართველ და უცხოელ კოლეგებთან პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების გაუმჯობესების მიზნით. გარე შეფასების მიზნით პროგრამის შემუშავებაში გამოყენებული იყო საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების (ბათუმის უნივერსიტეტი, ქუთაისის უნივერსიტეტი) დარგობრივი აკადემიური პერსონალის, ასევე უცხოელი კოლეგების შეფასებები. აღნიშნულის შედეგად, პროგრამას სასწავლო კომპონენტში დაემატა კურსები „დიფერენციალური განტოლებების“ და „ალგებრის“ მიმართულებით, აგრეთვე დაზუსტდა პროგრამის სწავლის შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროგრამის და მისი კომპონენტების გარე შეფასების დოკუმენტები;
- პროგრამის სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- ინტერვიუ დამსაქმებელთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის /ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით და მოიცავს შემდეგი კვლევების განხორციელებას: – სტუდენტების აკადემიური პროგრამით კმაყოფილების შეფასება; – კურსდამთავრებულთა კმაყოფილების /დასაქმების კვლევა; – დამსაქმებლების შეფასება და სხვა.

– კურსების/კომპონენტების შეფასება.

სტუდენტების აკადემიური პროგრამით კმაყოფილების შეფასების მიზნით კვლევების განხორციელება წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ევალება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. სამსახური ამუშავებს მოპოვებულ მონაცემებს და ანგარიშს აწვდის ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და პროგრამის ხელმძღვანელს.

აღნიშნული პროგრამა ახალია. მაგრამ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევების განყოფილების მიერ 2016 წლის დეკემბერში ჩატარებული სადოქტორო საფეხურის კურსდამთავრებულ და მოქმედ სტუდენტთა კვლევა ფოლკქსვაგენის მიერ დაფინანსებული ინსტიტუციური გაძლიერების პროექტის ფარგლებში. კვლევის შედეგები, კერძოდ, სტუდენტების/კურსდამთავრებულების რეკომენდაციები, რომლებიც ძირითადად შეეხება პროგრამის ადმინისტრირებისა და დოქტორანტების შეფასების ფორმების დახვეწას, გათვალისწინებულ იქნა ახალი პროგრამის შემუშავების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ სადოქტორო განათლების ხელშეწყობის მიზნით გაფორმდა თანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გოტინგენის უნივერსიტეტს შორის, რომელიც ითვალისწინებს სამომავლოდ დოქტორანტების გაცვლას; ერთობლივი კვლევითი პროექტების მხარდაჭერას და განხორციელებას; მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის ერთობლივ მოძიებას კვლევითი პროექტებისთვის; კვლევასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლას პუბლიკაციების, სასწავლო მასალების, ელექტრონული ქსელების მეშვეობით; დოქტორანტურაში ერთობლივი ხელმძღვანელობის განხორციელებას, რომლის მიზანია ორმაგი სადოქტორო დიპლომის გაცემა.

დოქტორანტებს შეუძლიათ სასწავლო და კვლევითი კომპონენტების გავლა მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტში თავიანთი კვლევის სრულყოფის მიზნით, რაშიც დაეხმარებათ განვითარების სამსახური და Erasmus+ ფარგლებში გამოცხადებული გაცვლითი პროგრამები.

სტუდენტების დასაქმების კვლევა ასევე ევალება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. კვლევა მიმდინარეობს წინასწარ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით და ხორციელდება სისტემა „არგუსის“ ბაზაზე. გადამუშავებული მონაცემები და ანგარიში მიეწოდება ფაკულტეტს/სკოლას, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს და სტუდენტური სერვისების სამსახურს, რათა კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნას პროგრამების დახვეწისა და განვითარების მიზნებისთვის. კვლევის შედეგები ასევე გამოიყენება სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის მიერ დასაქმებასთან დაკავშირებული სერვისების განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით. დასაქმების საკითხზე სტუდენტთა გამოკითხვა ხორციელდება ყოველწლიურად. აღნიშნული პროგრამა ახალია, ამიტომ აღნიშნული კვლევა ჯერ არ ჩატარებულა.

აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საჭიროებების დასადგენად და პირობების გასაუმჯობესებლად ადამიანური რესურსების სამსახური ატარებს ყოველწლიურ კვლევას. კვლევის შედეგები გამოიყენება ფაკულტეტების მენეჯმენტის გაუმჯობესებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო საფეხურის კურსდამთავრებულ და მოქმედ სტუდენტთა გამოკითხვა;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, მექანიზმები და ინსტრუმენტები;
- სერვისების შეფასების ანგარიშები - ლექტორები;
- ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის დებულება;
- ანგარიში ადმინისტრაციული პერსონალის კვლევის შედეგების შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
სადოქტორო პროგრამა „მათემატიკა“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა /თინათინ ლევითაშვილი/ თ. ლევითაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა /ვაჟა ფარიელიძე/ ვ. ფარიელიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა /ანი ბილანიშვილი/